თავი 1

ორგანიზაცია და ფინანსების მართვა – ტესტები

1. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ტერმინის განმარტებას - "საქმიანობის მართვა":**
   ა) ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობა შეგნებულად კოორდინირდება საერთო მიზნების მისაღწევად;
   ბ) ორგანიზაციის სისტემები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა დასახული მიზნები;
   გ) ტერმინი "საქმიანობის მართვა" გულისხმობს ორივე: "ა" და "ბ" პუნქტებს ერთად.

2. **ადამიანთა ჯგუფს, რომელთა საქმიანობა შეგნებულად კოორდინირდება საერთო მიზნების მისაღწევად, ეწოდება:**
   ა) ორგანიზაცია;
   ბ) თავყრილობა;
   გ) შეკრება.

3. **აქციონერთა კეთილდღეობა წარმოადგენს ორგანიზაციის, როგორც სისტემის:**
   ა) შემავალ რესურს;
   ბ) გამომავალ რესურს;
   გ) ტრანსფორმაციის პროცესს.

4. **მენეჯმენტის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი – აირჩიე მიმართულება – არის:**
   ა) ლიდერობის პროცესი;
   ბ) კონტროლის პროცესი;
   გ) დაგეგმვის პროცესი.

5. **ფინანსური მენეჯერის ფუნქციებია:**
   ა) კაპიტალდაბანდების დაგეგმვა და დაფინანსების წყაროების მოზიდვა;
   ბ) ფინანსური რესურსების მართვა კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაციისათვის;
   გ) ფინანსური მენეჯერის ფუნქციები მოიცავს ორივე – "ა" და "ბ" პუნქტებს ერთად.